



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ალაზანი

ალაზანი, მდინარე აღმ. საქართველოში. სიგრძე 351 კმ, აუზის ფართ. 11,8 ათ. კმ<sup>2</sup>. სათავეს იღებს კავკასიონის მთავარ ქედზე, მწვ. დიდი ბორბალოს აღმ. კალთაზე. გემონელში მთის მდინარეა, შემდეგ გამოდის ალაზნის ვაკეზე და იტოტება. ერთვის მინგეჩევირის წყალსაცავს (აზერბაიჯანი). ა-ის ქვემო დინების გასწვრივ გადის საქართვ. – აზერბ. საზღვარი. ა. საზრდობს მინისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლით. წლ. ჩამონადენის დაახლ. 40%-ს მინისქვეშა წყალი შეადგენს, წვიმისა და თოვლისა – 30 - 30%-ს. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარში, წყალმოვარდნა – შემოდგომაზე. ზამთარში წყალმცირეა. გაზაფხულზე მოდის წლ. ჩამონადენის 38,3%, ზაფხულზე – 29,1%, შემოდგომაზე – 20,3%, ზამთარში – 12,3%. არ იყინება.

ა-ის მარცხ. შენაკადებია: სტორი, ლოპოტა, ინნობა, ჩელთი, დურუჯი, ავანისხევი, კაბალი, მანში, გიშისწყალი და სხვ.; მარჯვ. – ილტო, თურდო, კისისხევი, ჭერმისხევი და სხვ. ზოგი შენაკადი ღვარცოფულია (მაგ., დურუჯი). შემორჩენილია ჭალის ტყეები. ა-ს მინგეჩევირის წყალსაცავში წლიურად შეაქვს 2,5 მლრდ. მ<sup>3</sup> წყალი.

იყენებენ სარწყავად. ა-იდან გაყვანილია ალაზნის არხი და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა.

**ი. აფხაზავა**

---